ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 22
02/02/2018

22-08-4-201802021515

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდისა და წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საჯარო მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარებების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენის, ასევე საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასება 2018 წელს განხორციელდეს კომპეტენციების შეფასების მეთოდით (სამუშაო აღწერილობით დამტკიცებული კომპეტენციების მიხედით).

2. შეფასება ჩატარდეს წელიწადში 4 ეტაპად - 3 შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასების სახით, კვარტალში ერთხელ.

2.1. შეფასების ეტაპები:

ა) პირველი შუალედური შეფასება- 14 მარტამდე;

ბ) მეორე შუალედური შეფასება-14 ივნისამდე;

გ) მესამე შუალედური შეფასება-14 სექტემბრამდე;

დ) საბოლოო შეფასება-არაუგვიანეს 14 დეკემბრამდე.

3. მე-3 და მე-4 რანგის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება მოახდინონ განყოფილების უფროსებმა, მე-2 რანგის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეფასება მოახდინოს საკრებულოს აპრატის უფროსმა, პირველი რანგის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეფასება მოახდინოს საკრებულოს თავმჯდომარემ.

4.შეფასება განხორციელდეს 4-ქულიანი სისტემით:

ა) საუკეთესო შეფასება-4 (ოთხი) ქულა;

ბ) კარგი შეფასება-3 (სამი) ქულა;

გ) დამაკმაყოფილებელი შეფასება-2 (ორი) ქულა;

დ) არადამაკმაყოფილებელი შეფასება-1 (ერთი) ქულა.

5. შეფასება ხდება დოკუმენტური მასალის შეფასებითა და მოხელესთან გასაუბრებით:

ა) შესაფასებელი დოკუმენტური მასალა მოიცავს, შესაფასებელ პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც შესაფასებელი მოხელის მიერ ეგზავნება მის უშუალო ხელმძღვანელს ელექტრონული მართვის ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით;

ბ) გასაუბრება მოიცავს თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს განხილვასა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვას.

გ) შეფასების პროცესში მონაწილეობენ, მოხელე, მისი უშუალო ხელმძღვანელი და საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

6. შუალედური და საბოლოო გასაუბრების შეფასების ქულების ასახვა მოხდეს შეფასების ფორმაში (დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად)

7.დაევალოს საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს შეფასების მეთოდისა და წესის დაწესებულების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

8.უშუალო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, თითოეული საჯარო მოხელისათვის, კომპეტენციების გაცნობის ოქმის წარდგენასა და ხელმოწერას (დანართი N3-ის შესაბამისად).

9.შეფასების შედეგების გასაჩივრება შეიძლება ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილების შესაბამისად.

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა